დამტკიცებულია:

კოლეჯის დირექტორის ბრძანება N 154 „ო“ 28.12. 2022 წ.

სსიპ - კოლეჯის ,,ერქვანი“

სამეწარმეო-სტარტაპ ხელშეწყობის ცენტრის

დებულება

2022 წელი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

მოცემული დებულების მიზნებისთვის დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. პროდუქტი- ინოვაცია, გამოგონება, სტარტაპი, სახელოვნებო ნაწარმოები, კვლევის შედეგი, სასწავლო-საგანმანათლებლო კურსები და ა.შ.
1.2. კვლევა - ბაზრის საჭიროებების, ფასწარმოქმნის, მომხმარებლების, ტრენდების, ინდუსტრიული, სამეცნიერო, STEAM ა.შ.
1.3. კომერციალიზაცია- ნებისმიერი აქტივობა, რომელიც მიმართულია პროდუქტის გასაყიდად მომზადებისკენ, გასაყიდად შეთავაზებისკენ და/ან გაყიდვისკენ. მათ შორის აქტივობები, რომლებიც დაკავშირებულია ამ პროდუქტის მარკეტინგთან, პოპულარიზაციასთან, დისტრიბუციასთან, იმპორ-ექსპორტთან და შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობაში.
1.4. ინკუბაცია- პროცესი, რომლის თითოეული აქტივობა მიმართულია სტარტაპის დაფუძნებასა და ზრდაზე. აღნიშნული პროცესის დროს ძირითადი ყურადღება ეთმობა იდეის დამუშავებას, გუნდის ფორმირებას, მომხმარებლისა და ბაზრის თავდაპირველ შესწავლას და ა.შ. ინკუბაციის პროცესის დროს ხდება გუნდის უზრუნველყოფა სამუშაო სივრცით, ექსპერტებთან კონსულტაციითა და იუდირიული მხარდაჭერით.
1.5. პრე-აქსელერაცია- პროცესი, რომელიც მიმართულია სტარტაპის სწრაფ ზრდასა და განვითარებაზე. აქსელერაციის ეტაპზე მართალია სტარტაპი ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ სტადიაზეა, მაგრამ უკვე არსებობს MVP (მინიმუმ ხელშესახები პროდუქტი). აქსელერაციის პროცესი იგეგმება იმგვარად, რომ სტარტაპმა შეძლოს სტარტაპის განვითარებისთვის საჭირო დაფინანსებისა და ინვესტიციების მოზიდვა.
1.6. კოლეჯის Spin Off (სპინ ოფი)- სტარტაპი/კომპანია რომელიც შექმნილია პროდუქტებისა და სერვისების ბაზარზე ტრანსფერისთვის, რომლებიც შემუშავებულია კოლეჯის რესურსებისა და სასწავლო პროგრამების შედეგად წარმოქმნილი ცოდნის ან/და ტექნოლოგიის გამოყენებით.
1.7. საგანმანათლებლო პროგრამები- მეწარმეობის, ბიზნეს, ციფრული, ტექნოლოგიური, სამართლებრივი და სამეცნიერო დარგების პროგრამები. ამასთანავე, კლასგარეშე აქტივობები, ვორკშოპები, ტრენინგები, კონფერენციები და ა.შ.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

2.1. სსიპ - კოლეჯის ,,ერქვანი“ სამეწარმეო-სტარტაპ ხელშეწყობის ცენტრი (შემდგომში ,,ცენტრი“) წარმოადგენს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, აღნიშნული დებულებისა და სსიპ -კოლეჯის ,,ერქვანი“ წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად.

2.2. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე.

მუხლი 3. სამეწარმეო-სტარტაპ ხელშეწყობის ცენტრის მიზანი

ცენტრის მიზნებია:

3.1. სტარტაპების ხელშეწყობა, პრე-აქსელერაცია, ინკუბაცია.

3.2. სტარტაპებისთვის დაფინანსების მოპოვებაში დახმარება.

3.3. მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა.

3.4. მეწარმეობის, ციფრული ტრანსფორმაციისა და ტექნოლოგიური პროგრამების პოპულარიზება.

3.5. მეწარმეობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით საგანმანათლებლო მოკლე პროგრამების შემუშავება- დანერგვა.

3.6. რეგიონის ახალგაზრდებში მეწარმეობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ცნობადობის ამაღლება და თემატური პროგრამების შემუშავება-დანერგვა.

3.7. სტუდენტებისთვის და ადმინისტრაციული თანამშრომლებისთვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ცოდნის ამაღლების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა საგანმანათლებლო მოკლე კურსებისა და სემინარების შეთავაზება.

3.8. სამეწარმეო ეკოსისტემის მთავარ მოთამაშეებთან მჭიდრო კავშირების დამყარება და ბიზნეს პარტნიორთა ქსელის შექმნა.

3.9. სტუდენტებისთვის და კოლეჯის ბენეფიციარებისთვის საერთო სამუშაო სივრცეებისა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა.

3.12. პარტნიორული ურთიერთობების გაფართოება როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო დონეზე.

3.14. კომერციალიზაცია

მუხლი 4. სამეწარმეო-სტარტაპ ხელშეწყობის ცენტრის ამოცანები

ცენტრის ამოცანებია:

4.1. ცენტრის პროგრამების ფარგლებში კოორდინაცია გაუწიოს და ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და ბენეფიციარების თეორიულ-პრაქტიკული საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას.

4.2. უზრუნველყოს სტუდენტებისა და ბენეფიციარების ბიზნეს/სტარტაპ იდეების საინკუბაციო პროცესი და მოახდინოს ბიზნეს/სტარტაპ იდეების შესაბამისი შერჩევა საინკუბაციო პროგრამაში ჩასართავად.

4.3. უზრუნველყოს პრე-აქსელერაციის პროგრამების გაშვება და გუნდების გადარჩევა პროგრამაში ჩასართავად. ამასთან, საინკუბაციო პროგრამის წარმატებული გუნდების პროგრამაში ჩართვა ან/და მათთვის სპეციალური პრე-აქსელერაციის პროგრამის შემუშავება.

4.4. უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელება ევროპული საინკუბაციო პროგრამების შესახებ და ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და ბენეფიციარების ევროპულ საინკუბაციო პროგრამებზე წვდომას.

4..5. უზრუნველყოს ცენტრის ბენეფიციარების ინფორმირება ადგილობრივი დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ და ხელი შეუწყოს აღნიშნულ პროგრამებზე მათ წვდომასა და შესაბამის მომზადებას.

4.6. უზრუნველყოს ცენტრის ბენეფიციარები VC და ბიზნეს ანგელოზთა ქსელზე წვდომით საერთაშორისო სტარტაპ დაფინანსების მოპოვებისთვის.

4.7. უზრუნველყოს მეწარმეობის, ციფრული ტრანსფორმაციისა და ტექნოლოგიური პროგრამების შემუშავება.

4.8. უზრუნველყოს მეწარმეობის, ციფრული და ტექნოლოგიური პროგრამების დამატებითი დაფინანსების წყაროების მოძიებისა და რეგიონებში ახალგაზრდებისთვის ცოდნის გაზიარება-გადაცემის მიზნით საერთაშორისო საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა.

4.9. უზრუნველყოს სამეწარმეო/სტარტაპ ეკოსისტემის ბიზნეს პარტნიორთა ქსელის შექმნა.

4.10. უზრუნველყოს საერთაშორისო დონეზე პარტნიორული ურთიერთობების გაფართოება და სამეწარმეო/სტარტაპ ეკოსისტემის მთავარ მოთამაშეებთან მჭიდრო კავშირების დამყარება.

მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა

5.1. ცენტრის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი. ცენტრის სხვა პერსონალი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება კოლეჯის თანამშრომელთათვის დადგენილი წესით, ცენტრის ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე.

5.2. ცენტრს შესაძლოა ჰყავდეს დამხმარე და პროფესიული თანამშრომლები.

5.3. ცენტრის ხელმძღვანელის, დამხმარე პერსონალისა და პროფესიული თანამშრომლების შრომის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ინდივიდუალური ხელშეკრულებით, კოლეჯის შინაგანაწესითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 6. ცენტრის ხელმძღვანელი

6.1. წარმართავს ცენტრის მუშაობას, უზრუნველყოფს შრომის შესაბამისი პირობების შექმნას, იღებს ზომებს თანამშრომელთა პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად.

6.2. ახდენს ცენტრის საქმიანობის წარმართვას საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულებისა და კოლეჯის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

6.3. განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე.

6.4. ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს.

6.5. იხილავს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს.

6.6. დადგენილი წესის მიხედვით იხილავს კორესპონდენციებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს.

6.7. ზედამხედველობს და პასუხისმგებელია ცენტრის საქმიანობაზე, ასევე ზედამხედველობს თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ კოლეჯის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს.

6.8. ახდენს ცენტრის მოკლე სასწავლო პროგრამების/კურსების შეთანხმებას/დასამტკიცებლად წარდგენას კოლეჯის დირექტორისთვის. შემდგომში ზედამხედველობს დამტკიცებული მოკლე სასწავლო პროგრამების/კურსების განხორციელებას.

6.9. მოიძიებს შესაბამისი მოკლე სასწავლო პროგრამის/კურსის განმახორციელებელ სპეციალისტებს.

6.10. არყოფნის შემთხვევაში ასახელებს დროებით მოვალეობის შემსრულებელს.

6.11. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 7. ცენტრის ბიუჯეტი

ცენტრის ბიუჯეტი სრულად ფორმირდება საერთაშორისო/უცხოური საგრანტო შემოსავლებით.

მუხლი 8. ცენტრის დაფინანსებ

8.1. ცენტრის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო/უცხოური საგრანტო შემოსავლებით მიღებული დაფინანსება.

8.2. ცენტრის საერთაშორისო/უცხოური საგრანტო დაფინანსებიდან და სასწავლო პროგრამებიდან მიღებული შემოსავლების 95% ხმარდება განსახორციელებელი პროგრამების/კურსების ხარჯების დაფარვას და ცენტრის შემდგომ განვითარებას, ხოლო დარჩენილი 5% წარმოადგენს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ზედნადებ ხარჯებს.

8.3. ცენტრის პროგრამების/პროექტებისა და ადამიანური რესურსების გამოყენების საფუძველზე შესაძლებელია მისი საქმიანობის კომერციალიზაცია, შემოსავლების წყაროების დივერსიფიცირების მიზნით.

მუხლი 9. დებულების მიღების, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წინამდებარე დებულების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სსიპ - კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორის მიერ მისი მოწონებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 10. ცენტრის რეორგანიაცია და ლიკვიდაცია

10.1. ცენტრის რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სსიპ - კოლეჯის ,,ერქვანი“ დირექტორი.

10.2. ცენტრის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.